ასოციაცია “ათინათი”

2022 წლის ანგარიში

მისამართი:

საქართველო, ზუგდიდი,
2100, რუსთაველის 94

საკონტაქტო:

+995 571 53 88 28
office@atinati.org

„ათინათი“ შენი ნათელი მომავლისთვის

ასოციაცია „**ათინათი**“ შეიქმნა 1995 წელს. ის პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო ქალაქ ზუგდიდში და დღემდე წარმატებულად ფუნქციონირებს.

საზოგადოების მაღალი ნდობა, რომლის მოპოვებაც „**ათინათმა**“ შეძლო, რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: მაღალკვალიფიციური კადრები, კეთილგანწყობილი გარემო, ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხარისხითა და ობიექტურობით გამორჩეული საკუთარი მედია საშუალება (**რადიო „ათინათი“ FM 105.9)**. ორგანიზაციის მდგრადობის დასტურია 200–ზე მეტიწარმატებულად განხორციელებული პროექტი და შესაბამისად, ათასობით კმაყოფილი და მადლიერი ადამიანი.

„**ათინათის**“ მისიაა: განათლებული, ტოლერანტი და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამისათვის, „ათინათი“ ახორციელებს მოქალაქეთა კომპეტენტურობის ამაღლების, უფლებების დაცვის, შესაძლებლობების გაზრდის და ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობ პროგრამებს. ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და მოსახლეობის ინფორმირებულობას. „**ათინათი**“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის დევნილი (რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე) მოსახლეობის, ქალების და ახალგაზრდების გაძლიერებას.

ამჟამად „**ათინათი**“ მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

1.სამოქალაქო საზოგადოების განვითარება:
2.რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა
3.საზოგადოების ინფორმირებულობის ხელშეწყობა:
„ათინათის“ გუნდში შედიან პროფესიონალი ტრენერები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ჟურნალისტები, ახალგაზრდული მუშაკები და მოხალისეები.

„**ათინათის**“ გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული ფასეულობები, რომლებსაც ეფუძნება მის ყოველდღიური საქმიანობა:

- **პროფესიონალიზმი;**
- **ერთმანეთის აზრის პატივისცემა;**
- **სამართლიანობა;**
- **ტოლერანტობა;**
- **გამჭვირვალობა და ღიაობა;**
- **ეროვნული ტრადიციების პატივისცემა და ევროპული ფასეულობების დამკვიდრება;**

"**ათინათელები**" 28 წელია მუშაობენ ამ ღირებულებებით და ცდილობენ შეცვლონ ცხოვრება უკეთესობისკენ.

OFFICE@ATINATI.ORG

OFFICE@ATINATI.ORG

ათინათი - არაკომერციული, არასამთავრობოორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია მედეგი, ტოლერანტული და ინკლუზიურისამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მშვიდობიანი და კონსტრუქციულიდიალოგისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების გზით.

ამ მიზნის მისაღწევად, 1996 წლიდან დღემდე, აქტიურად ვმუშაობთ ორგანიზაციული მართვისა და განვითარების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის, ახალგაზრდების განვითარებისა და ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერების საკითხებზე. ამ პროცესში, ჩვენი წამყვანი საქმიანობაა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის, მათ უნიკალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე სრულად მორგებული, სხვადასხვა სოციალური, საქმიანი თუ პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მიმართული, მაღალ ხარისხიანი სატრენინგო და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზება.

ჩვენ ვმუშაობთ საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან, ახალგაზრდებთან, ბიზნეს კომპანიებთან, საჯარო მოხელეებთან და ყველასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან, ვისაც სურს გაიუმჯობესოს ორგანიზაციული მართვის, ლიდერობის, სტრატეგიული დაგეგმვის, კონფლიქტების მართვის, პიროვნებათშორისი კომუნიკაციის, საჯარო გამოსვლებისა და პრეზენტაციების, მოლაპარაკების წარმოების, მომხმარებელთან ურთიერთობის, სამოქალაქო ინტერესების დაცვის და კიდევ სხვა მრავალი პიროვნული თუ საქმიანი უნარ-ჩვევა.

OFFICE@ATINATI.ORG

ბავშვებისათვის ინკლუზიური გარემოს შექმნა

2021-2022 წლებში ასოციაცია "**ათინათმა**" განახორციელა პროექტი ,, ბავშვებისათვის ინკლუზიური გარემოს შექმნა" სლოვაკურ ორგანიზაცია „ბავშვთა ფსიქოლოგიის და პათოფსიქოლოგიის კვლევითი ინსტიტუტთან" პარტნიორობით და *SlovakAid* – სლოვაკეთის რესპუბლიკის განვითარების დახმარების პროგრამის (*Official Development Assistance of the Slovak Republic*) ფინანსური დახმარებითა და საქართველოში სლოვაკეთის საელჩოს მხარდაჭერით.

პროექტის მიზანი: მარტვილის მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლების (დირექტორები, მასწავლებლები, აღმზრდელები) გადამზადება, სლოვაკეთის გამოცდილების გაზიარება, მშობლების ინფორმირება.

პროექტის ამოცანები:

- შეხვედრების, ტრენინგებისა და ფსიქოლოგიურ-საგანმანათლებლო სემინარების ორგანიზება, სხვადასხვა ციფრული რესურსებით პედაგოგების მომარაგება;
- მარტვილის # 2 საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია და ინკლუზიური ოთახის მოწყობა - აღჭურვა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის;
- სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების პერსონალის შესაძლებლობების განვითარება, მათთვის ბავშვის ინდივიდუალურობისა და ფსიქოლოგიური თავისებურებების, მათ შორის ინკლუზიური განათლების ძირითადი ასპექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

OFFICE@ATINATI.ORG

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდა შემდეგი საქმიანობები :

- ტრენინგები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩართულ პირთათვის შემდეგ თემებზე:
- სკოლამდელ განათლებაში არსებული სტანდარტები და მიდგომები;
- ოჯახში ძალადობის და ბავშვზე ძალადობის პრევენცია;
- სოციალურ-ემოციური უნარები;
- სტრესის მართვა და
- ქოუჩინგი ადრეულ განათლებაში;
- სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა მასწავლებლები, ადრეული განვითარების სპეციალისტებისა და ქცევით თერაპევტებისათვის, მათი გადამზადების მიზნით, გაიმართა ტრენინგების ციკლი, რომელსაც სლოვაკური ორგანიზაცია „ბავშვთა ფსიქოლოგიის და პათოფსიქოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის“ ტრენერები უძღვებოდნენ, ტრენინგების ციკლს ესწრებოდა 18 მონაწილე, სამომავლო აქტივობებისათვის შეირჩა 6 ფასილიტატორი;

- ფსიქოლოგიური სემინარები და კონსულტაციები მარტვილის მუნიციპალიტეტის 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალისათვის, რომელსაც 250-მდე თანამშრომელი ესწრებოდა;

- შეხვედრები აღსაზრდელთა მშობლებისთვის, გაიმართა 5 შეხვედრა, რომელსაც 100 მშობელი დაესწრო;

- საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქცია;

OFFICE@ATINATI.ORG

- ბაღშიაღიჭურვა და მოეწყო ინკლუზიურიოთახი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისთვის.

- თანამშრომლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან;

- ადგილობრივად რეგიონული თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებას სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვის საკითხში.

პროექტის შედეგი:

- საბავშვო ბაღის პერსონალმა და მშობლებმა მიიღეს მეტი ინფორმაცია ინკლუზიური განათლების შესახებ;
- გარემონტდა მარტვილის N2 საბავშვო ბაღის ნაწილი, სადაც აღსაზრდელები უსაფრთხოდ და კარგად გრძნობენ თავს;
- მოეწყო ინკლუზიური ოთახი, რომელსაც ადგილობრივი ფსიქოლოგები და სპეციალური პედაგოგები სარგებლობენ;
- სამეგრელოს რეგიონში ინკლუზიური განათლების მიმართულებით 18 ფასილიტატორი გადამზადდა.

პროექტი „ჰუმანიტარული რეაგირების მხარდაჭერა საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილებისთვის - სოციალური მეწარმეობის კომპონენტის ჩართვით და პარტნიორების მობილიზაციის გზით“

OFFICE@ATINATI.ORG

საინტერესო გამოწვევა ჰქონდა „**ათინათს**“ პროექტის „ჰუმანიტარული რეაგირების მხარდაჭერა საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილებისთვის - სოციალური მეწარმეობის კომპონენტის ჩართვით და პარტნიორების მობილიზაციის გზით“ ფარგლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად უკრაინიდან ლტოლვილების რიცხვმა ზუგდიდშიც იმატა. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ „**ათინათმა**“ ლტოლვილთა დანიის საბჭოს მხარდაჭერით შექმნა სოციალური საწარმო „მარდიანობა“, დანიაში შეიძინა 10 ტონა მეორადი ტანსაცმელი, ქალაქის ცენტრში გახსნა მაღაზია, გაყიდა მეორადი ტანსაცმელი.

აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად შეარჩია 3 თანამშრომელი, რომლებიც გადამზადდნენ. მათთვის ჩატარდა შესაძლებლობების ამაღლებისთვის საჭირო სხვადასხვა აქტივობა, რომელიც აუცილებელია ახლად შექმნილი სოციალური საწარმოს მართვისა და წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

თანამშრომლებსკონსულტაციები გაუწია იურისტმა, მარკეტერმა, აუდიტორმა და ბიზნეს ექსპერტმა. მაღაზია აღჭურვილ იქნა ყველა საჭირო ინვენტარით და იმუშავა გაყიდვებზე, სადაც შემოსული თანხა მოხმარდა უკრაინიდან ლტოლვილი მოსახლეობის საჭიროებებს. მაღაზიის ფუნქციონირების პარალელურად შეიქმნა ქალთა კლუბი და ჩატარდა ქალთა კლუბის 6 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 100 ზე მეტი ქალბატონი.

შეხვედრებზე უკრაინელ ლტოლვილ ქალბატონებთან ერთად მოწვეული იყვნენ დევნილი ქალბატონები, რომლებმაც თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს უკრაინელებს. ემოციური და შთამბეჭდავი შეხვედრები გამოვიდა. აღმოჩნდა რომ ლტოლვილებისთვის საუბრები და გამოცდილების გაზიარება არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სხვა სახის დახმარებები.

აღნიშნულმა შეხვედრებმა აჩვენა რომ ლტოლვილებს ადგილზე ინტეგრაციისთვის ჰქონდათ სურვილი შეესწავლათ ქართული ენა. „ათინათმა“ მათთვის იქირავა მასწავლებელი და გაუწია ორგანიზება ორ სამთვიან ქართული ენის შემსწავლელ კურსს. მასში მონაწილეობა მიიღო 25-მა უკრაინელმა. ასევე მოეწყო მასტერკლასები ხის დამუშავებაში, თიხაზე მუშაობასა და კულინარიაში.



დამოუკიდებელი ორგანიზაცია/სოციალური საწარმო „მარდიანობა“ წარმატებულად და დამოუკიდებლად განაგრძობს ფუნქციონირებას, რაც პროექტის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მყარი ინდიკატორია.

პროექტი დაფინანსებული იყო ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ

პროექტის ბიუჯეტი: 50126 ევრო. განხორციელების ვადები: ივნისი, 2022 – მარტი, 2023

OFFICE@ATINATI.ORG

„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“

პროექტის ფარგლებში „**ათინათში**“ ფუნქციონირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბი. პროექტი მიზნად ისახავს, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. პროექტის განხორციელების სრული პერიოდი შეადგენს 4 წელს - 2021-2024 წწ.

2022 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა ჰაბმა მიზნის მისაღწევად განახორციელა შემდეგი აქტივობები და მიღწეულ იქნა შედეგები, კერძოდ:

- ინდივიდუალური მენტორობა და სატელეფონო კონსულტაციები, რომლითაც 28 დამწყები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ისარგებლა, რის შედეგადაც მომხმარებელმა აიმაღლა ინფორმირებულობის დონე ორგანიზაციის განვითარებისთვის საჭირო საკითხებში, მათ შორის, სარეგისტრაციო პროცედურა, სტრატეგიული გეგმის შემუშავების პრინციპები, ფონდების და მოხალისეების მოზიდვის სტრატეგია და სხვა. გარდა ამისა რეგიონული ჰაბის ფეისბუქ გვერდზე სისტემატურად, მყისიერად პოსტების/ ინფორმაციის დადებით და წერილების დაგზავნით დაინტერესებულ პირებს გაეზარდათ ხელმისაწვდომობა სხვადასხვა შესაძლებლობებზე (ტრენინგები, სემინარები, საგრანტო კონკურსები და სხვა)

- სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და მათ შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა 3 *Job Shadowing*-ი (სტაჟირება), 2 - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის შიგნით, 1 კი რეგიონს გარეთ, რითაც ნაკლებად გამოცდილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცა გაევლოთ სტაჟირება გამოცდილ ორგანიზაციაში, რითაც ამაღლებულ იქნა მათი კომპეტენციები სხვადასხვა პოზიციებზე.

- გამოცდილების გაზიარების მიზნით გაიმართა 2 ონლაინ სასწავლო ვიზიტი ქართულ და გერმანულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, რომლებსაც 24 ორგანიზაციის წარმომადგენელი დაესწრო სადაც მონაწილეებმა მიიღეს მათთვის ღირებული ინფორმაცია, მათ შორის მასპინძელი ორგანიზაციების ერთგვარი „წარმატების რეცეპტები“;

- ამაღლდა რეგიონის მოსახლეობის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებულობის დონე აქტუალურ და მნიშვნელოვან თემებზე ფეისბუქ-პლატფორმაზე 11 ღია ფორმატის ჩართვით, რომელთა მსმენელთა/ მნახველთა რაოდენობამ შეადგინა 14 158 ადამიანი; ასევე მომზადდა და რადიო „**ათინათის**“ ეთერში გავიდა 2 გადაცემა;

- რეგიონის 2 მუნიციპალიტეტში გაიმართა 7 სამუშაო შეხვედრა 127 ახალგაზრდასთან, შემუშავდა 5 სათემო საჭიროებებზე აგებული ინიციატივა, რითაც მოხდა მათში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მულტისექტორული თანამშრომლობითი პრაქტიკის განვითარება რაც გამოიხატა 3 ინიციატივის ეტაპობრივი მხარდაჭერ

- რეგიონის 2 მუნიციპალიტეტში გაიმართა 7 სამუშაო შეხვედრა 127 ახალგაზრდასთან, შემუშავდა 5 სათემო საჭიროებებზე აგებული ინიციატივა, რითაც მოხდა მათში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მულტისექტორული თანამშრომლობითი პრაქტიკის განვითარება რაც გამოიხატა 3 ინიციატივის ეტაპობრივი მხარდაჭერა;

- გაძლიერდა დამწყები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოტივაცია 2022 წლის საუკეთესო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების კონკურსის ჩატარებით. კონკურსის შედეგად გამოვლინდა წლის საუკეთესო დამწყები ორგანიზაცია - ასოციაცია „ილი“, რომელიც დაჯილდოვდა სიმბოლური პრიზით და საკანცელარიო ნივთების ნაკრებით.
- ხანდაზმულ მოხალისეებთან და სამოქალაქო აქტივისტთან შეხვედრებმით, რომლებსაც 38 ადამიანი დაესწრო მოხდა მოხალისეობის ინსტიტუტის პოპულარიზება. ასევე შეხვედრების შედეგად დაიგეგმა ერთობლივი აქტივობები.
- შეიქმნა სისტემატურად განახლებადი, ყველასთვის ხელმისაწვდომი, რეგიონში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სათემო კავშირების მონაცემთა ბაზა. 2022 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია 106 ორგანიზაცია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბი, ასევე პროექტში ჩართული კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას ახორციელებდა.

პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ევროს

OFFICE@ATINATI.ORG

ასოციაცია „ილი“ს წარმატების ისტორია

OFFICE@ATINATI.ORG

მე ვარ სალომე გარდავა, ასოციაცია "**ილის**" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ილიას დედა, რომელსაც 2018 წელს დაუდგინდა სმენის ურთულესი, მეოთხე ხარისხის დაქვეითება. სწორედ ილია იყო მიზეზი იმ პოზიტიური ცვლილებების, რაც ჩვენ მოვახერხეთ რეგიონში დღეს.

მოხარული ვარ, რომ შემიძლია გაგიზიაროთ ჩვენი ორგანიზაციის მოგზაურობის ისტორია მისი დაარსებიდან 2022 წლის საუკეთესო დამწყებ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წოდებამდე. ეს მიღწევა არის ჩვენი გუნდის თავდადებისა და შრომისმოყვარეობის დასტური.

2019 წელს ასოციაცია „ილი“ ჩამოყალიბდა სმენის პრობლემის მქონე ბავშვების მშობლების მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სმენადაქვეითებული ბავშვებისა და მათი ოჯახების წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარების მიზნით.

თავდაპირველად უამრავ დაბრკოლებას წავაწყდით. ორგანიზაციის დარეგისტრირების შემდეგ იყო ძალიან ბევრი გამოწვევა ფინანსების, მუნიციპალური პროგრამების, ადამიანური რესურსის და სხვა საჭირო რესურსების არქონიდან გამომდინარე. ორგანიზაციის წევრებმა დაინახეს, რომ საჭირო იყო კონკრეტული გეგმა, რაც დაეხმარებოდათ პრობლემების მოგვარებაში.

OFFICE@ATINATI.ORG

2019 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბის დახმარებით ჩვენ გამოვიყენეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მივიღეთ ტრენინგ პროგრამაში, რომლებიც გადამწყვეტი იყო ჩვენი ზრდისთვის. ამ ტრენინგებმა კარი გაგვიღო გრანტის მოპოვებაში. მიუხედავად იმისა, რომ გრანტის მოპოვების პროცესი რთული იყო, ჩვენ ვხელმძღვანელობდით ჩვენი მკაფიო მისიით და ცვლილების შეტანის სურვილით. გრანტის განხორციელების პროცესში ჰაბი იყო ჩვენი მხარდამჭერი და დიდი გულშემატკივარი.

ორგანიზაციამ შემოიკრიბა სმენის პრობლემის მქონდე მშობლები, დააიდენტიფიცირა მათი საჭიროებები და შეგროვებული ინფორმაცია გარდაქმნა პროექტად. ეს იყო ორგანიზაციის პირველი წარმატებული მცდელობა. თუმცა გრანტის მოპოვების შემდეგ სხვა გამოწვევებმა იჩინა თავი. იყო ბევრი იმედგაცრუება, თუმცა ყველა მათგანი დაეხმარა ორგანიზაციას გაძლიერებაში და შემდეგი სწორი ნაბიჯების გადადგმაში.

2022 წელს ასოციაცია „ილიმ“ მონაწილეობა მიიღო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბის ინიციატივით პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით.

ტიტული ვფიქრობ, რომ სრულად დამსახურებული იყო, რადგან 2019 -2022 წლებში ორგანიზაციას უკვე ჰქონდა წარმატებით განხორციელებული 5 პროექტი, საუკეთესო თანამშრომლობის გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობასთან და 2 მუნიციპალური პროგრამა.

ვფიქრობთ რომ ჩვენ მიერ მიღწეული პოზიტიური ცვლილებები კიდევ ბევრი სხვა ცვლილების საწინდარი იქნება.

OFFICE@ATINATI.ORG

„სხვა რეალობა“
“Another Reality“

2022 წელს (მარტი-ივნისი) რადიო “**ათინათი**”-ს გუნდმა გერმანიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი *“Another Reality“*, რომლის მიზანი იყო „რუსული პროპაგანდის საპირწონე საინფორმაციო კამპანია უკრაინის ომთან დაკავშირებით „

პროექტის ფარგლებში რადიო „**ათინათი**“-ს ეთერში გავიდა ათი რადიოგადაცემა- „რაკურსი“. წამყვან ჟურნალისტთან ერთად მოწვეულმა ექსპერტებმა იმსჯელეს რეგიონის წინაშე მდგარ საფრთხეებზე და ამ ომის გავლენის მნიშვნელოვან ასპექტებზე, იმ მომენტისთვის ახლადწამოჭრილ საკითხებზე. გადაცემის ტრანსლირება რადიოეთერთან ერთად ხდებოდა ფეისბუკ ლაივ სტრიმით. რადიომსმენელებს და ინტერნეტით მის მნახველებს შეეძლოთ დაკავშირება სტუდიასთან და შეკითხვების დასმა.

რადიო „**ათინათის**“ რუსულენოვან საინფორმაციო გამოშვებას დაემატება სპეციალური ბლოკი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, რომელშიც ასევე გაჟღერებულ იქნა ექსპერტების მიერ ამ პროექტის ფარგლებში გაკეთებულ გადაცემაში გამოთქმულიმოსაზრებები.

პროექტის ფარგლებში ატვირთული გადაცემების, ვიზიტორთა რაოდენობა ვებ-გვერდზე 23512 ადამიანი იყო.

დამოუკიდებელი, სანდო რადიოს მიერ საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებამ და ექსპერტების სიღრმისეულმა ანალიზმა განსხვავებულ რაკურსში დაანახა მოქალაქეებსრუსეთის შენიღბულ პოლიტიკა; მოქალაქეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია დასავლეთთან თანამშრომლობის პოზიტიურ პერსპექტივებზე, რაც საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება ევროინტეგრაციისთვის. რუსული პროპაგანდის საპირწონე ინფორმაციამ შესაძლებლობას მისცა მათ თავად გააკეთონ დასკვნები და შეცვალონ დამოკიდებულება როგორც რუსეთის, ისე ევროკავშირის მიმართ;
პროექტის ბიუჯეტი-24 234 ლარი

“Relationships”

OFFICE@ATINATI.ORG

2022 წლის (მარტი სექტემბერი) რადიო “**ათინათი**”-ს გუნდმა განახორციელა პროექტი „*Relationships*“ რომლის საერთო მიზანი იყო ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცება, დიალოგის გაძლიერება კონფლიქტური სიტუაციების გათვალისწინებით და კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობა აფხაზებსა და ქართველებს შორის.
მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში:

- მომზადდა და რადიო „**ათინათი**“-ს პირდაპირ ეთერში გავიდა აფხაზი და ქართველი ჟურნალისტების მიერ აქტუალურ სოციალურ თემებზე მომზადებული ერთობლივი ყოველკვირეული რუსულენოვანი გადაცემა „*Точки Соприкосновения*“. სულ მომზადდა 28 გადაცემა.
- რადიო „**ათინათის**“ ვებ-გვერდზე, ორენოვანი აღწერით, აიტვირთა პარტნიორი-აფხაზი ჟურნალისტების მიერ წინასწარ შეთანხმებულ თემებზე მომზადებული ყოველკვირეული ფოტორეპორტაჟები ოკუპირებული ტერიტორიიდან. სულ მომზადდა 25 ფოტორეპორტაჟი

პროექტის ფარგლებში ატვირთული მასალების, ვიზიტორთა რაოდენობა ვებ-გვერდზე(მათ შორის აფხაზეთიდან) 18815 ადამიანი იყო. განხორციელებული აქტივობების შედეგად მხარეებმა მიიღეს ინფორმაცია ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაღმა ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებზე; გაიზარდა ინფორმირება აფხაზ და საქართველოს მოქალაქეებს შორის;
პროექტის აქტივობებმა ხელი შეუწყო ერთმანეთის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების მოშლას. პროექტი განხორციელდა ავსტრიის საელჩოსფინანსური მხარდაჭერით, ბიუჯეტი 6990ევრო.

"იგივე ფესვები"
“The same roots”

OFFICE@ATINATI.ORG

პროექტი “*the same roots*” (2022 ივლისი-2023 წლის ივნისი) განახორციელა რადიო „**ათინათი**“-ს გუნდმა. პროექტის მიზანი იყო, ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცება, დიალოგის განვითარება კონფლიქტური სიტუაციების გათვალისწინებით და კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობა აფხაზებსა და ქართველებს შორის.

კონკრეტული ამოცანები იყო შემდეგი:

- კონფლიქტებთან დაკავშირებული დიალოგის გონივრული ხელშეწყობა ქართველ და აფხაზ მოქალაქეებს შორის, სხვადასხვა ერთობლივი მედია პროდუქტების შემუშავებით, ამ ორი საზოგადოების მსგავსების ჩვენებით.
- ქართული და აფხაზური საზოგადოებების სტიმულირება კონფლიქტისადმი მგრძნობიარე მედიასაშუალებებით.

ამ მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები;

- **რადიო გადაცემის მომზადება აფხაზ კოლეგებთან ერთად და ეთერში გაშვება;**

გადაცემა „*Точки соприкосновения*“ რადიო „ათინათი“-ს ეთერში - გადიოდა თვეში ერთხელ. წინასწარ თანხმდებოდა პარტნიორთან და ყოველი გადაცემისთვის აფხაზი პარტნიორი ამზადებდა შესაბამის აუდიო მასალას, რაც გამოყენებული იყო გადაცემაში. სულ გაკეთდა 10 (ათი) გადაცემა. მათი აუდიო ჩანაწერები აიტვირთა რადიოს ვებგვერდზე (*radioatinati.ge*);

- **მოკლე ვიდეოების შექმნა პარტნიორების მიერ და სოც ქსელებში ატვირთვა;**

აფხაზი და ქართველი პარტნიორები ყოველთვიურად, წინასწარ შეთანხმებულ, ერთ თემაზე ამზადებდნენ ვიდეომასალას თავიანთი კუთხეების (აფხაზეთის და სამეგრელოს) კულტურაზე, ტრადიციაზე, ფოლკლორზე, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზე . (სულ გაკეთდა 20 მ.შ. 10 ქართული მხარის მიერ და 10 აფხაზი პარტნიორის მიერ); ამ ვიდეოებს პარტნიორები ტვირთავდნენ თავიანთ ვებგვერდებზე

- **მულტიმედია სტატიების მომზადება პარტნიორების მიერ;**

თვეში ერთხელ წინასწარ შეთანხმებულ თემაზე აფხაზი და ქართველი ჟურნალისტები ამზადებდნენ მულტიმედია სტატიებს ფოტო და/ან ვიდეო მასალით. (სულ გაკეთდა 20(ოცი) მ.შ. 10 ქართული მხარის მიერ და 10 აფხაზი პარტნიორის მიერ).

პროექტის ფარგლებში თანამშრომლობამ კიდევ უფრო გაამყარა ქართველ და აფხაზ ჟურნალისტებსა და მასში ჩართულ ექსპერტებს შორის ურთიერთგაგება და ნდობა.

პროექტმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართველ და აფხაზ საზოგადოებებს შორის ნდობის გაღრმავებაში. ორივე მხარის საზოგადოებებმა დაინახეს, რომ მიუხედავად კონფლიქტისა შესაძლებელია თანამშრომლობა. შემცირდა სტერეოტიპული დამოკიდებულებები ახალგაზრდებში, რომლებსაც არა აქვთ თანაცხოვრების გამოცდილება.

პროექტი განხორციელდა *U4Dialogue* -ს პროგრამის ფარგლებში *UNDP* -ს ფინანსური მხარდაჭერით. ბიუჯეტი: 52400 დოლარი

OFFICE@ATINATI.ORG

“We connAct!”

OFFICE@ATINATI.ORG

2022 წელს (ივლისი-დეკემბერი) „**ათინათის**“ საპროექტო ჯგუფმა განახორციელა პროექტი “*We connAct*!”, რომლის მიზანი იყო: დაპირისპირებული (აფხაზი და ქართული) საზოგადოებების წევრებს შორის ნდობის გაძლიერება, ხოლო კონკრეტული ამოცანები კი:

- აფხაზეთსა და სამეგრელოში მცხოვრებ ახალგაზრდა ჟურნალისტის ჟურნალისტური უნარების განვითარება;
- ახალგაზრდა ჟურნალისტებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა და გაძლიერება.
- მულტიმედიური პროდუქტების საშუალებით ერთმანეთის შესახებ სწორი ინფორმაციის ურთიერთგაზიარება.

ამ მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები. ერთობლივ ონლაინ ტრენინგებზე აფხაზეთსა და სამეგრელოში მცხოვრებმა ახალგაზრდა ჟურნალისტებმა მიიღეს ცოდნა კიბერუსაფრთხოების და კონფლიქტის გაშუქების მგრძნობიარე მიდგომის„არ დააზიანო“ შესახებ. მეორე 4-დღიანი ონლაინ ტრენინგი დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა გუნდური მუშაობა, ციფრული და ჟურნალისტური მასალების შექმნა.

10 -მა ახალგაზრდა ჟურნალისტმა აფხაზეთიდან და სამეგრელოდან განივითარეს ციფრული და ჟურნალისტური მასალების (ჟურნალისტური თხრობის, პროფესიული მოკლე ვიდეოების, ფოტორეპორტაჟების) შექმნის უნარ-ჩვევები.

შედეგად ახალგაზრდა ჟურნალისტების მიერ შეიქმნა და რადიო „**ათინათის**“ სოციალური მედიის არხებსა და ვებგვერდზე გამოქვეყნდა სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებულ თემებზე 10 ფოტორეპორტაჟი და 10 მოკლე ვიდეო.

პროექტის ბოლოს კი ღია სივრცეში - ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, *COVID 19*-ის პანდემიის რეგულირების მკაცრი დაცვით მოეწყო ამ ფოტოების გამოფენა. გამოფენას 300-ზე მეტი დამთვალიერებილი ჰყვდა, მათ შორის ახალგაზრდები, დევნილები, ზუგდიდის მცხოვრებლები, *EUMM*-ის წარმომადგენლები.

პროექტი განხორციელდა EUMM-ის ფინანსური მხარდაჭერით, ბიუჯეტი 19980 ევრო.